

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 29 ივლისს გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩაგვიტარებია მმართველობის ანგარიშში ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



რუსლან ხოროშვილი,

შპს „იუაის“ სახელით

2019 წლის 8 აგვისტო



წლიური მმართველობითი ანგარიშგება 2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული
პერიოდისთვის

წლიური მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული პერიოდისთვის



დირექტორი: კეტევან ოსიშვალიძე



დირექტორი: ალექსანდრა ფილიპოვი

2019 წლის 6 აგვისტო



წლიური მმართველობითი ანგარიშგება 2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული
პერიოდისთვის

წლიური მმართველობითი ანგარიშგება
2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული პერიოდისთვის

დირექტორი: კლაუდია ოსზვალდი

დირექტორი: ალექსანდრა ფილიპოვი

2019 წლის 6 აგვისტო



სარჩევი

1.	ზოგადი ინფორმაცია	3
2.	2018 წლის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები.....	3
	2.1 შემოსავალი მაღაზიების მიხედვით.....	4
3.	კომპანიაში დასაქმების ასპექტები	4
4.	რისკების შეფასება.....	4
5.	შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული პროგნოზები	5
6.	შპს "H&M Hennes & Mauritz Georgia"-ს ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის, დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად	

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia LLC“ (შემდგომში „H&M“ ან „კომპანია“), საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164192). კომპანია თბილისში მდებარეობს და მისი იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #41, მე-4 სართული.

2018 წლისა და 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო „H&M Hennes & Mauritz GBC AB“, შვედური ტანსაცმლის საცალო ვაჭრობის მრავალწლიანი ბრენდი, ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი იყო სტეფან პერსონის ოჯახი.

კომპანია 2016 წლის 30 აგვისტოს დაფუძნდა თბილისში (საქართველო). დაფუძნების თარიღიდან 2017 წლის 27 აპრილამდე (კაპიტალში პირველი შენატანის განხორციელების თარიღი) კომპანიას ოპერაციები არ განუხორციელებია. „H&M“-ის პირველი მაღაზია თბილისში (საქართველო) 2017 წლის 18 ნოემბერს გაიხსნა სავაჭრო ცენტრში „გალერეა თბილისი“, ხოლო მეორე 2018 წლის 31 მაისს - სავაჭრო ცენტრში „ისთ ფონთი“.

„H&M“-ის ბიზნეს იდეაა მოდისა და ხარისხის საუკეთესო ფასად შეთავაზება ეკოლოგიური გარემოს დაცვით. პროდუქტების ფართო და მრავალფეროვანი სპექტრით, „H&M“ ყველას უმარტივებს მოდის საკუთარი სტილის გამოხატვას.

კომპანიის მიერ შემოთავაზებულ პროდუქტებზე მოქმედებს მოდის ინდუსტრია, რომელიც ყოველწლიურად იცვლება. მომხმარებლები ეძებენ მოდის უახლეს ტენდენციებს, ხოლო „H&M“-მა ყველა ღონე უნდა იხმაროს მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. იქედან გამომდინარე, რომ მოდა ყოველწლიურად იცვლება, კომპანიისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მოდის მომავალი ტენდენციების წინასწარ განჭვრეტა, კოლექციის წინასწარ მომზადებისა და კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით.

2. 2018 წლის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

№	აღწერა	ვალუტა	კომპანია			
			2017	2018	გადაზრდა	% ცვლილება
ა	ბ	1	2	3	4=3-2	5=4/2
1	სულ შემოსავალი	ათასი ლარი	2,351	30,288	27,937	1,188%
1.1	შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	ათასი ლარი	2,022	29,971	27,949	1,382%
1.2	ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	ათასი ლარი	-	174	174	100%
1.3	სხვა შემოსავალი	ათასი ლარი	329	143	(186)	(57%)
2	სულ ხარჯები	ათასი ლარი	(5,582)	(28,937)	(23,355)	418%
2.1	გაყიდული საქონლის თვითღირებულება	ათასი ლარი	(1,051)	(14,093)	(13,042)	1,241%
2.2	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	ათასი ლარი	(2,972)	(13,187)	(10,251)	344%
2.3	ფინანსური ხარჯი	ათასი ლარი	(35)	(273)	(238)	680%
2.4	დისტრიბუციის ხარჯი	ათასი ლარი	(1,496)	(1,293)	203	(14%)
2.5	სხვა ხარჯები	ათასი ლარი	(28)	(91)	(63)	225%
3	მოგება (ზარალი) გადასახადით დაბეგრამდე	ათასი ლარი	(3,231)	1,351	4,582	(142%)
4	მოგების გადასახადი	ათასი ლარი	-	-	-	-
5	სულ წლის მოგება	ათასი ლარი	(3,231)	1,351	4,582	(142%)
6	თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა	ათასი ლარი	68	92	24	35%

2. 2018 წლის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები:

კომპანიამ 2018 წელი დახურა მთლიანი მოგებით 1.351 ათასი ლარი, რომელიც წინა წლის შედეგებს 4.582 ათასი ლარით აღემატება ფინანსურ-ეკონომიკური ინდიკატორების. ამ დადებითი დინამიკის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ძირითადი საქმიანობიდან შემოსავალი 27.937 ათასი ლარით გაიზარდა, რომელიც უკავშირდება „გალერეა თბილისში“ განთავსებული მთავარი მაღაზიის სრული წლის საქმიანობას და 2018 წლის მაისში ახალი მაღაზიის გახსნას სავაჭრო ცენტრში „ისტ ფონთი“.

2.1 შემოსავალი მაღაზიების მიხედვით:

მაღაზია	ვალუტა	2017	2018	გადახრა	გადახრის %
სავაჭრო ცენტრი „გალერეა თბილისი“	ათასი ლარი	2,022	25,015	22,993	1,137%
სავაჭრო ცენტრი „ისტ ფონთი“	ათასი ლარი	-	4,956	4,956	100%
სულ შემოსავალი	ათასი ლარი	2,022	29,971	27,949	1,382%

მიმდინარე წლის განმავლობაში საქმიანობის ზრდამ ასევე გამოიწვია დანახარჯების ზრდაც, რაც წინა წლების მაჩვენებლებთან შედარებით 23.355 ათასი ლარით გაიზარდა.

3. კომპანიაში დასაქმების ასპექტები

კომპანია პროგრესულად უდგება თანამშრომლებთან დაკავშირებულ სოციალურ საკითხებს. სოციალურ სფეროში კომპანია თავის თანამშრომლებს სხვადასხვა ტრენინგს უტარებს შემდგომი განვითარებისთვის. ამასთან, „H&M“-ის თანამშრომლები იღებენ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს. მათ ასევე ეძლევათ დამატებითი ფასდაკლების ბარათები შერჩეულ ერთეულებზე და დროის განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში. ბარათის გამოყენება შეიძლება „H&M“-ის ადგილობრივ მაღაზიებში.

4. რისკების შეფასება

საფასო რისკი

საფასო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ზარალზე გასვლის ან ფასის კლების რისკი, რაც გამოწვეული იქნება ფასების შემცირებით. კომპანია არ გასწევს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საფასო რისკს.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი გულისხმობს კონტრაქტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის რისკს, რის შედეგადაც კომპანია ფინანსურ ზარალს განიცდის. საკრედიტო რისკზე და კონტრაქტების საკრედიტო რეიტინგზე დაქვემდებარება მუდმივად კონტროლირდება.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების ფლობას ვადადამდგარი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. კომპანიის მიზანია დაფინანსებაში მოქნილობის შენარჩუნება, შესაბამისი საკრედიტო ხაზების ხელმისაწვდომობის მიზნით. კომპანია რეგულარულად ამზადებს ფულადი სახსრების შემოდინების და გადინების მოკლევადიან და გრძელვადიან გეგმებს, ლიკვიდურობის დამაკმაყოფილებელი დონის უზრუნველყოფის მიზნით.

4. რისკების შეფასება (გაგრძელება)

სავალუტო რისკი

კომპანია არ გასწევს სავალუტო რისკს. სხვა ვალუტაში ვალდებულებების დაფარვის დაწერგილი პრინციპის თანახმად, ადგილობრივ კომპანიას აქვს მინიმალური ან საერთოდ არ აქვს საკრედიტო რისკი - მშობელი კომპანია გასწევს ყველა სავალუტო რისკს.

სხვა რისკები

რამდენიმე ფაქტორმა შესაძლოა იმოქმედოს „H&M“-ის შედეგებსა და საქმიანობაზე. მათი უმეტესობა შესაძლოა ეხებოდეს შიდა რუტინულ სამუშაოს, ხოლო სხვებზე უმეტესად გარე ფაქტორები მოქმედებს. არსებობს მოდის ტენდენციებთან, ამინდთან, ნეგატიურ მაკრო-ეკონომიკურ ცვლილებებთან, მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებთან, კლიმატის ცვლილებებთან, სავაჭრო ინტერვენციებთან, წარმოების ქვეყნებში გარე ფაქტორებთან და უცხოურ ვალუტასთან, ასევე ახალი კონცეფციების დაწერგვასა და ბრენდის მართვის სტილთან დაკავშირებული რისკები და გაურკვევლობები,

ფორმალური რისკის ანალიზი და რისკების მართვა შესაძლოა დაგვეხმაროს ამ რისკების შეფასებაში და იმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, თუ რა ქმედებები უნდა განხორციელდეს გეგმების შესრულების ხელშეშლელი პირობების მინიმუმამდე დასაყვანად. ეს ქმედებები ასევე გვეხმარება გადაწყვეტოთ, რამდენად ეკონომიურია ჩვენ მიერ რისკების სამართავად გამოყენებული სტრატეგიები.

5. შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული პროგნოზები

დღეისათვის კომპანია ფლობს ორ მაღაზიას თბილისში (საქართველო) და მომდევნო ფინანსური წლისთვის გეგმავს კიდევ ერთი დამატებითი მაღაზიის გახსნას.

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“

ფინანსური ანგარიშგება

*2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების შერჩეული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. ფუნქციონირებადი საწარმო	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	9
5. სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები	18
6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	19
7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	22
8. ძირითადი საშუალებები	23
9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	24
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	24
11. ნასესხები სახსრები	24
12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	25
13. გადავადებული შემოსავალი	25
14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	25
15. დანახარჯების გადანაწილება	25
16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	25
17. პირობითი ვალდებულებები	26
18. ფინანსური რისკის მართვა	27
19. სამართლიანი ღირებულებები	30
20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელნი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას და ამიტომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რაიმე ფორმით რწმუნებას.



**Building a better
working world**

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.



**Building a better
working world**

- ▶ შვევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთი მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაველეთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 29 ივლისი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“-ს აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩავატარეთ სს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია ასახულია კომპანიის 2018 წლის მმართველობითი ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. კომპანიის 2018 წლის მმართველობითი ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ეხება მმართველობით ანგარიშგებას და ამიტომ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნაში მასთან დაკავშირებით არ გამოვთქვამთ რამე ფორმით რწმუნებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება, და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობის და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ▶ გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.

- ▶ შვეიცარული აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგვემოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.

ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ▶ მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი წარდგენა.

სხვა საკითხებთან ერთად, მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვაკლენთ.

რუსლან ხოროშვილი

შპს „იუაის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2019 წლის 29 ივლისი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის


(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 30 ნოემბერი	2017 წლის 30 ნოემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,468	6,565
სულ გრძელვადიანი აქტივები		<u>8,468</u>	<u>6,565</u>
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	3,624	1,293
საგადასახადო აქტივები, წმინდა		150	-
სხვა დებიტორული დავალიანება		80	904
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,516	4,385
სულ მიმდინარე აქტივები		<u>5,370</u>	<u>6,582</u>
სულ აქტივები		<u>13,838</u>	<u>13,147</u>
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
დაგროვილი დანაკლისი		(1,880)	(3,231)
სულ კაპიტალი		<u>(1,877)</u>	<u>(3,228)</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	-	828
გადავადებული შემოსავალი	13	6,423	7,258
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>6,423</u>	<u>8,086</u>
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	4,019	-
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	5,273	8,289
სულ მიმდინარე ვალდებულებები		<u>9,292</u>	<u>8,289</u>
სულ ვალდებულებები		<u>15,715</u>	<u>16,375</u>
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>13,838</u>	<u>13,147</u>

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ივლისს



ვალუდია ოსვალდი
დირექტორი



ალექსანდრა ფილიპოვი
დირექტორი

8-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018 წლის 30 ნოემბერი	2017 წლის 30 ნოემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	8,468	6,565
სულ გრძელვადიანი აქტივები		8,468	6,565
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	9	3,624	1,293
საგადასახადო აქტივები, წმინდა		150	–
სხვა დებიტორული დავალიანება		80	904
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	1,516	4,385
სულ მიმდინარე აქტივები		5,370	6,582
სულ აქტივები		13,838	13,147
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		3	3
დაგროვილი დანაკლისი		(1,880)	(3,231)
სულ კაპიტალი		(1,877)	(3,228)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	–	828
გადავადებული შემოსავალი	13	6,423	7,258
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,423	8,086
მიმდინარე ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	11	4,019	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	12	5,273	8,289
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,292	8,289
სულ ვალდებულებები		15,715	16,375
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,838	13,147

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია 2019 წლის 29 ივლისს

კლაუდია ოსზვალდი
დირექტორი

ალექსანდრა ფილიპოვი
დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი		29,971	2,022
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14	(14,093)	(1,051)
საერთო მოგება		15,878	971
სხვა საოპერაციო შემოსავალი		143	329
დანახარჯების გადანაწილება	15	(1,293)	(1,496)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16	(13,187)	(2,972)
საკუროსო სხვაობიდან მიღებული წმინდა ზარალი		(91)	(28)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)		1,450	(3,196)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	(273)	(35)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	174	–
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,351	(3,231)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		1,351	(3,231)
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		1,351	(3,231)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის***(ათას ლარში)*

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი დანაკლისი	სულ
ნაშთი 2016 წლის 30 ნოემბერს	–	–	–
კაპიტალში შენატანი	3	–	3
წლის მთლიანი სრული ზარალი	–	(3,231)	(3,231)
ნაშთი 2017 წლის 30 ნოემბერს	3	(3,231)	(3,228)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	1,351	1,351
ნაშთი 2018 წლის 30 ნოემბერს	3	(1,880)	(1,877)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება**2018 წლის 30 ნოემბრით დასრულებული წლისათვის***(ათას ლარში)*

	შენიშვნა	2018	2017
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1,351	(3,231)
<i>არაფულადი კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	8	1,124	2
საკუროსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობა/(ზარალი) ფინანსურ საქმიანობაში, წმინდა		–	(23)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	11	273	35
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	10	(174)	–
		2,574	3,217
<i>საბრუნავ კაპიტალში შესული ცვლილებები</i>			
ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგებში		(2,331)	(1,293)
ცვლილება სხვა დებიტორულ დავალიანებაში		824	(929)
წმინდა ცვლილება საგადასახადო აქტივებში		(150)	–
ცვლილება გადავადებულ შემოსავალში		(835)	7,258
ცვლილება სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებაში		(3,016)	8,336
		(5,508)	13,372
გადახდილი პროცენტი		(289)	–
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,223)	10,155
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებზე გადახდილი ავანსები	8	(3,027)	(6,567)
მიღებული პროცენტი		174	–
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(2,853)	(6,567)
ფინანსური საქმიანობა			
პარტნიორების შენატანი კაპიტალში		–	3
ამონაგები სესხებიდან		4,000	794
სესხების დაფარვა		(793)	–
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		3,207	797
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები			
პერიოდის დასაწყისში	10	4,385	–
წმინდა საკუროსო სხვაობა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		–	5
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	10	1,516	4,385

8-30 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ძირითადი საქმიანობა

შპს „H&M Hennes & Mauritz Georgia“ (შემდგომში „კომპანია“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეიქმნა 2016 წლის 30 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (საიდენტიფიკაციო ნომერი: 405164192). კომპანია განთავსებულია საქართველოში.

კომპანია ტანსაცმლის საცალო ვაჭრობის შვედური მრავალდონაციონალური ორგანიზაცია „H&M Group“-ის წევრია, რომელიც მამაკაცების, ქალების, თინეიჯერებისა და ბავშვების ე.წ. „სწრაფი მოდით“ არის ცნობილი. თბილისში (საქართველო) „H&M“-ის პირველი მაღაზია 2017 წლის 18 ნოემბერს გაიხსნა სავაჭრო ცენტრში „გალერეა თბილისი“. „H&M“-ის მეორე მაღაზია თბილისში (საქართველო) 2018 წლის 31 მაისს გაიხსნა სავაჭრო ცენტრში „ისთ ფოინთი“.

2018 წლისა და 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის უშუალო მშობელი კომპანია იყო „H&N Hennes * Mauritz GBC AB“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“), ხოლო კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე იყო სტეფან პერსონის ოჯახი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ვაჟა-ფშაველას გამზ. #41, მე-4 სართული, თბილისი, საქართველო.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორის მიერ. პარტნიორს შეუძლია ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა მისი გამოშვების შემდეგ.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების მეთოდის საფუძველზე. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

3. ფუნქციონირებადი საწარმო

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებები მის მიმდინარე აქტივებს 3,922 ლარით აღემატებოდა. მიმდინარე ვალდებულებების ძირითადი კომპონენტია საქართველოს კომერციული ბანკისგან მიღებული სესხი 4,019 ლარის ოდენობით, ასევე კრედიტორული დავალიანებები მშობელი კომპანიის მიმართ, 2,359 ლარის ოდენობით. 2019 წლის თებერვალში, კომპანიამ 2020 წლის 13 თებერვლამდე გაახანგრძლივა ქართული კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის დაფარვის ვადა.

ხელმძღვანელობამ მშობელი კომპანიისგან მიიღო 2019 წლის 1 აპრილს ხელმოწერილი წერილი, რომლითაც მშობელმა კომპანიამ დაადასტურა მისი განზრახვა და უნარი იმისა, რომ უახლოეს მომავალში საჭიროება წარმოშობის შემთხვევაში, ის დახმარებას გაუწევდა კომპანიას.

3. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. მომზადების ეს საფუძველი აკეთებს დაშვებას, რომ საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისთვის მიმდინარე ვალდებულებების გადახდა მოთხოვნილი არ იქნება 2020 წლის 1 აპრილამდე, თუ ამგვარი დაფარვა სავალდებულო გახდება კომპანიისთვის, ხოლო მშობელი კომპანია ფინანსურ დახმარებას გაუწევს კომპანიას, თუ ამგვარი საჭიროება წარმოიშვება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვებიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა**(ა) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად**

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე- და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია გრძელვადიანის კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც საწარმო საქმიანობს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში კონვერტაცია ხდება ანგარიშგების პერიოდის დასრულებისას საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსით. გარიგებების ანგარიშსწორებით გამოწვეული საკურსო სხვაობით წარმომოხილი შემოსულობა და ზარალი წმინდა ფორმით აღირიცხება მოგებაში ან ზარალში, საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსულობის/ზარალის სახით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(ბ) უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)**

არაფულადი მუხლები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, კაპიტალის ინვესტიციების ჩათვლით, გადაიყვანება იმ დღის გაცვლითი კურსით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი არაფულად მუხლებზე, რომელიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, აისახება სამართლიანი ღირებულების შემოსულობაში ან ზარალში.

(გ) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების რეზერვი, მოთხოვნილი ფორმით. ძირითადი საშუალებები მოიცავს დაუმთავრებელ აქტივებს მომავალში ძირითადი საშუალებების სახით სარგებლობისთვის.

შემდგომი დანახარჯები შესულია აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, სიტუაციიდან გამომდინარე, ამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება და თუ შესაძლებელია აქტივის ღირებულების სათანადო სიზუსტით შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მათი გაწევისთანავე ხარჯების ნაწილში. ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება, ხოლო შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისთვის წინა წლებში, შებრუნდება, თუ, შესაბამის ვითარებაში ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებულ იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა და ზარალი, რომლებიც განისაზღვრება მიღებული შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	8
საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	8
სხვა აღჭურვილობა და ხელსაწყოები	5-8

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(გ) ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე. აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

(I) ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და დებიტორული დავალიანებები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები, ან საჭიროების შემთხვევაში ჰეჯირებისთვის განკუთვნილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, ამას ემატება გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა აქტივების ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს 'სესხების და დებიტორული დავალიანების' ერთეულში. სესხები და დებიტორული დავალიანებები არაკოტირებული, არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, გარდა იმ სესხებისა, რომელთა გაყიდვასაც კომპანია უახლოეს მომავალში აპირებს. თავდაპირველი შეფასების შემდეგ ასეთი ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება ხორციელდება ამორტიზებული ღირებულების შესაბამისად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR), გაუფასურების გამოკლებით. ამორტიზებული ღირებულება ანგარიშდება შესყიდვის ნებისმიერი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსური შემოსავლის ნაწილში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

ყველა ის ფინანსური აქტივი, რომელსაც კომპანია ფლობს 2018 წლისა და 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ფასდება ამორტიზებული ღირებულებით და მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, ასევე სხვა დებიტორულ ვალდებულებებს.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა, ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას მის მიერ ამ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რამე ობიექტური ნიშნის არსებობას. გაუფასურებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი მოვლენა („ზარალის დადგომის შემთხვევა“) გავლენას ახდენს ფინანსური აქტივიდან ან ფინანსური აქტივების ჯგუფიდან მისაღები ფულადი სახსრების მომავალში მოსალოდნელ ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების არსებობის ობიექტური ნიშანი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ დებიტორი ან დებიტორთა ჯგუფი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, არღვევს სესხის პროცენტის ან ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულებას, არსებობს გაკოტრების ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის მაღალი ალბათობა და ხელთ არსებული მონაცემები მიუთითებს ფულადი სახსრების მოსალოდნელი მომავალი ნაკადების შემცირებაზე, მაგალითად, როგორც არის ცვლილებები ვადაგადაცილებული გადახდების დონეში ან ეკონომიკურ პირობებში, რომლებსაც უკავშირდება ვალდებულებების შეუსრულებლობა.

გაუფასურების ზარალის ოდენობის დადგენის შემდეგ ის აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივების საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო საკრედიტო ზარალის გამოკლებით, რომელსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია). სავარაუდო სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით, ხოლო დანაკარგის თანხა აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი კვლავაც ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას იმ განაკვეთით, რომელიც გამოიყენება სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებისთვის გაუფასურების შედეგად განცდილი ზარალის შესაფასებლად.

საპროცენტო შემოსავალი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აისახება ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ნაწილში. სესხები და დებიტორული დავალიანებები, მასთან დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მომავალში მათი ამოღების რეალური პერსპექტივა არ არსებობს და ყველა უზრუნველყოფის საგანი რეალიზებულია ან გადაცემულია კომპანიისთვის. თუ მომდევნო წლის განმავლობაში გაუფასურებით გამოწვეული ზარალი გაიზრდება ან შემცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით. თუ სამომავლო ჩამოწერის ამოღება მოხერხდება, იგი გატარდება სრული შემოსავლის ანგარიშგების ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ნაწილის კრედიტში.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები შემდეგ კატეგორიებში ნაწილდება: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, დებიტორული დავალიანება ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს. ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების და დებიტორული დავალიანების შემთხვევაში, მათ აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები. 2018 წლისა და 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და ნასესხებ სახსრებს.

შემდგომი შეფასება

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხების შემდგომი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ხდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება გამოანგარიშებულია ნებისმიერი დისკონტის ან შესყიდვის პრემიის, აგრეთვე საზღაურების თუ ხარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგებაში ან ზარალში, ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯების ნაწილში.

აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის მოგებაში ან ზარალში აისახება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება, ხოლო წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ▶ ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- ▶ დეფოლტის შემთხვევაში; და
- ▶ კომპანიის და ყველა კონტრაქტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში და მოთხოვნამდე ანაზღაურებას.

(ვ) გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი წარმოადგენს მფლობელის მიერ კომპანიაზე იჯარით გაცემული კომერციული ფართის გასაახლებლად განხორციელებულ ფულად შენატანს. ეს საიჯარო სტიმულირება აღირიცხება *იშ (SIC) 15-ის ინტერპრეტაციის (საოპერაციო იჯარა - სტიმულირება)* შესაბამისად, როგორც საიჯარო ხარჯის შემცირება საიჯარო პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, რადგან ეს საფუძველი საუკეთესოდ ასახავს საიჯარო აქტივით სარგებლობით მოიჯარის მიერ მიღებულ სარგებელს.

(ზ) საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია მოიჯარედ გამოდის ისეთი ტიპის იჯარაში, რომლითაც მეიჯარე საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა არსებით რისკსა და სარგებელს არ გადასცემს კომპანიას, მთლიანი საიჯარო გადასახადი წრფივი მეთოდით დაირიცხება იჯარის მთელ ვადაზე მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში. იჯარის ვადა ნიშნავს პერიოდს, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს და რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აქტივის იჯარაზე, ნებისმიერი მომდევნო ვადებით, რომლებითაც მოიჯარეს შეუძლია აქტივის იჯარის გაგრძელება შემდგომი ანგარიშსწორებით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არის გონივრული მოლოდინი, რომ მოიჯარე ამ შესაძლებლობას გამოიყენებს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(თ) გადასახადები****(i) მოგებიდან გადასახადები**

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. ამგვარი მოგება დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოუშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგრას, რომლებიც პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება) ითვლება. ამგვარი გარიგებების დაბეგრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

- ▶ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.
- ▶ დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში. გარკვეული დამატებული ღირებულების გადასახადის თანხა, რომელიც წარმოიშვა 2006 წლამდე, მხოლოდ მაშინ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას თუ მიიღება ან ჩამოიწერება შესაბამისი დებიტორული დავალიანება. ასეთი დამატებული ღირებულების გადასახადი აღირიცხება, როგორც გადავადებული დამატებული ღირებულების გადასახადი ნომინალური გადასახდელი ოდენობით.

გაყიდვებთან დაკავშირებით გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულება საგადასახადო უწყებების მიმართ წარმოიშება (ა) კლიენტებისგან მისაღები თანხების მიღებისას ან (ბ) კლიენტებისთვის საქონლის მიწოდებისას ან მომსახურების გაწევის მომენტში, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი. დღგ-ის ჩასათვლელი თანხა ზოგადად ანაზღაურებადია გადასახდელ დღგ-სთან მიმართებაში, დღგ-ს ინვოისის მიღებისას. საგადასახადო უწყებების მიერ ნებადართულია დღგ-ს გადახდა ნეტო-საფუძველზე, კონკრეტული შეზღუდვებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(თ) გადასახადები (გაგრძელება)****(iii) განუსაზღვრელი საგადასახადო სტატუსი**

ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის შეფასებით, არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დარიცხვას, თუ საგადასახადო უწყებები ახალ პოზიციებს დააწესებენ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომელიც ამოქმედდა ან ფაქტობრივად ძალაშია შესული ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ასევე ამ საკითხებთან დაკავშირებით სასამართლოს ან სხვა უწყების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ჯარიმის, პროცენტის და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების გადახდის ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ხელმძღვანელობა აფასებს ვალდებულებების დაფარვისთვის საჭირო დანახარჯებს, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. მოგების გადასახადის განუსაზღვრელი პოზიციების ცვლილება აღირიცხება მოგების გადასახადის ცვლილებაში.

(ი) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო საფუძველზე გადასვლისას და ის მოიცავს ნასყიდობის და სხვა დანახარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, რომელსაც აკლდება დასრულების და რეალიზაციის ხარჯები.

(კ) საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის რაოდენობა განისაზღვრება კომპანიის პარტნიორების მიერ. კომპანიის კაპიტალში ცვლილებები შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის პარტნიორების გადაწყვეტილების საფუძველზე.

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, თუ წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად კომპანიას დღეისათვის აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის წინასწარი შეფასებაც სარწმუნოდ შეიძლება და ვალდებულების დასაფარად შესაძლოა ეკონომიკური სარგებლის გადინება გახდეს საჭირო. ანარიცხის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დაბეგვრამდელი განაკვეთით დისკონტირებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გაუქმების აღიარება აისახება ფინანსური ხარჯის სახით.

(მ) შემოსავალი

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე მისაღებ თანხებს, ფასდაკლებების, დაბრუნებული თანხების დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ შემთხვევაში, თუ მისი თანხის შეფასება საიმედოდ შეიძლება; როდესაც სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი საწარმოში შემოედინება; ასევე თუ დაკმაყოფილებული იქნება კომპანიის ყველა საქმიანობის შესაბამისი კრიტერიუმები, რაც ქვემოთ არის აღწერილი. თუ საბარტერო ოპერაციებში მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეუძლებელია, შემოსავლები ფასდება დათმობილი საქონლისა თუ მომსახურების სამართლიანი ღირებულებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან აღიარდება ამგვარ საქონელზე რისკების და სარგებლის გადაცემის, ჩვეულებრივ, საქონლის გაყიდვის მომენტში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(ნ) დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები**

ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სამედიცინო დაზღვევა ირიცხება იმ წელს, რომელშიც კომპანიის თანამშრომლები გასწევენ შესაბამის მომსახურებას.

(ო) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს კომპანიისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-19 შენიშვნაში. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისთვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკორექტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;
- ▶ დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა (გაგრძელება)**(3) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შეცვლილი სტანდარტები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავრცელდა 2018 წლის 1 იანვარს**

ფასიკ (IFRIC) 22-ის ინტერპრეტაცია „ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და ანაზღაურება ავანსად“, ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის თანახმად, წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარების დროს გამოყენებული სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრისას ოპერაციის თარიღად ჩაითვლება ის თარიღი, რომლითაც საწარმო თავდაპირველად აღიარებს წინასწარი გადახდით მიღებულ არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. თანხის არაერთი წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, საწარმომ თანხის თითოეული წინასწარი გადახდისთვის ან მიღებისთვის ცალკე უნდა განსაზღვროს ოპერაციის თარიღი. ვინაიდან კომპანიის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციას, ამ უკანასკნელის გამოყენებას გავლენა არ ჰქონია მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. სააღრიცხვო პოლიტიკების შერჩევასთან დაკავშირებით გამოყენებული მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და დაშვებები

კომპანია გარკვეულ შეფასებს და დაშვებებს მიმართავს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლისთვის. შეფასებები და დაშვებები მუდმივად გადაისინჯება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენებს, რომელთა გონივრული პროგნოზირება შესაძლებელია გარემოებების გათვალისწინებით. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გარკვეულ გადაწყვეტილებებს იღებს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ქვემოთ მოცემულია გადაწყვეტილებები, რომლებსაც აქვს ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვნად შეცვალოს მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება:

(i) ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება დამოკიდებულია მსჯელობაზე, რომლებიც მსგავს აქტივებთან მიმართებაში წარსულ გამოცდილებას ეფუძნება. აქტივებში ჩართული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ათვისება უმეტესად გამოყენების გზით ხდება. ამასთან, ისეთი ფაქტორები, როგორიც არის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში ჩართული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ შეაფასა დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადები აქტივების მიმდინარე ტექნიკური პირობების შესაბამისად და განსაზღვრა პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კომპანიისთვის მოსალოდნელია აქტივებიდან სარგებლის მიღება. რომელიმე ან პირობაში ან შეფასებაში მომხდარმა ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს სამომავლო ცვეთის კოეფიციენტების დაკორექტირება.

(ii) დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების თავდაპირველი აღიარება

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია გარიგებებს აწარმოებს მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსჯელობები გამოიყენება იმის განსასაზღვრად, გარიგებების შეფასება ბაზარზე ხდება თუ არა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით, როდესაც არ არსებობს ამგვარი გარიგებების აქტიური ბაზრები. მსჯელობის საფუძველია არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასწარმოება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ სტანდარტების მიღებას შემდგომი დაგეგმვით აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე. ხელმძღვანელობა არ მოელის, რომ სხვა ახალი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება მნიშვნელოვან გავლენას იქონიებს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს (IFRS) 15 - ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

ფასს (IFRS) 15 გამოიცა 2014 წლის მაისში და განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს (IFRS) 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ფასს-ის მიხედვით შემოსავლების აღიარების ყველა არსებულ წესს. სრული რეტროსპექტული გამოყენება ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული გამოყენება სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანია ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებას 2018 წლის 1 დეკემბრიდან აპირებს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე.

ახალი სტანდარტი განსაზღვრავს მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის თანახმადაც უნდა მოხდეს შემოსავლის აღიარება, საქონლის ან მომსახურების კლიენტზე გარიგების ფასით გადაცემისას. საქონლის და მომსახურებების ნებისმიერი განსხვავებული პაკეტი ცალკე უნდა აღიარდეს, ხოლო სახელშეკრულებო ფასის ნებისმიერი ფასდაკლება ცალკე ელემენტებზე უნდა გადანაწილდეს. როდესაც საზღაური რაიმე მიზეზით განსხვავებულია, მინიმალური თანხა უნდა აღიარდეს, თუ ისინი შემოზღუდვის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე არ დგანან. კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების უზრუნველსაყოფად გაწეული ხარჯები კაპიტალიზებულ და ამორტიზირებულ იქნა იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ხდება სახელშეკრულებო სარგებლის მოხმარება.

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს (IFRS) 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ ბოლო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს (IAS) 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს (IFRS) 9-ის ყველა წინა ვერსიას. ფასს (IFRS) 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა. ფასს 9 ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის, ამასთან დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. გარდა ჰეჯირების აღრიცხვისა, სავალდებულოა რეტროსპექტული გამოყენება, მაგრამ შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენა სავალდებულო არ არის. ჰეჯირების აღრიცხვის შემთხვევაში, მოთხოვნები, როგორც წესი, პერსპექტიულად გამოიყენება, გარკვეული იშვიათი გამონაკლისებით. კომპანია ფასს (IFRS) 9-ს 2018 წლის 1 დეკემბრიდან გამოიყენებს, მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს (IFRS) 9-ის ფარგლებში, ფინანსური აქტივები უნდა დაკლასიფიცირდეს სამი კატეგორიის მიხედვით: ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და ფინანსური აქტივები, რომლებიც შემდგომში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში.

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

სასესხო ინსტრუმენტების კლასიფიკაცია ეფუძნება საწარმოს ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელს, ასევე იმას, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები ეფუძნება თუ არა 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს' (SPPI). თუ სასესხო ინსტრუმენტის მიზანი მისი ფლობაა, ის შესაძლოა ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხოს, თუ ისიც დააკმაყოფილებს 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების' მოთხოვნებს. სასესხო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების' მოთხოვნას, და რომელთა ფლობაც ხდება პორტფელის ფარგლებში, რომელშიც საწარმო ფლობს აქტივების ფულად ნაკადებს და ყიდის აქტივებს, შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნას სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ მოიცავენ ფულად ნაკადებს და რომლებიც 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას' წარმოადგენენ, უნდა შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში (მაგალითად წარმოებული ინსტრუმენტები). ჩართული წარმოებული ინსტრუმენტები აღარ გაიმიჯნება ფინანსური აქტივებისგან, მაგრამ ისინი შედის 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდის' პირობების შეფასებაში.

ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში ყოველთვის სამართლიანი ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელშეკრულებამ შესაძლოა ჩაატაროს გამოუთხოვადი არჩევნები სამართლიანი ღირებულების ცვლილების სხვა სრულ შემოსავალში წარმოსადგენად, იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტის ფლობა გაყიდვის მიზნით არ ხდება. თუ წილობრივი ინსტრუმენტის ფლობა გაყიდვის მიზნით ხდება, ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

ბასს (IAS) 39-ის ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციის და შეფასების მოთხოვნების უმეტესობა უცვლელად იქნა გადატანილი ფასს (IFRS) 9-ში. მნიშვნელოვანი ცვლილება არის ის, რომ საწარმოს მოეთხოვება მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების საკრედიტო რისკში ცვლილების ეფექტი სხვა სრულ შემოსავალში ასახოს.

(ბ) გაუფასურება

ფასს (IFRS) 9 განსაზღვრავს გაუფასურების ზარალის აღიარების ახალ მოდელს - 'მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი'. არსებობს 'სამეტაპიანი მიდგომა', რომელიც ეყრდნობა ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ცვლილებას თავდაპირველი აღიარების შემდეგ. პრაქტიკაში ეს ახალი წესი იმას ნიშნავს, რომ საწარმოებმა მაშინვე უნდა აღრიცხოთ 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლფასი ზარალი იმ ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას, რომლებზეც არ ფიქსირდება საკრედიტო გაუფასურება (ან არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის). თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, გაუფასურება ფასდება აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის, და არა 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. მოდელი მოიცავს საოპერაციო გამარტივებებს იჯარისა და სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისთვის.

(გ) ჰეჯირების აღრიცხვა

ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნები შეიცვალა ბუღალტრული აღრიცხვის რისკების მართვაზე მეტად მჭიდროდ მოსარგებად. სტანდარტი საშუალებას აძლევს სააღრიცხვო პოლიტიკის მქონე საწარმოებს არჩევანი გააკეთონ ფასს (IFRS) 9-ის ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებას ან ბასს (IAS) 39-ის ჰეჯირების გამოყენების გაგრძელებას შორის, რადგან სტანდარტი ამ მომენტისთვის არ ეხება მაკრო ჰეჯირების აღრიცხვის საკითხებს.

კომპანიის ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების ანალიზის საფუძველზე, 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღისთვის მოქმედი ფაქტებისა და ვითარებების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობა ახალი სტანდარტის მიღებიდან მის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვან გავლენას არ მოელოა.

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 16 - იჯარა

ფასს (IFRS) 16 გამოიცა 2016 წლის იანვარში და ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფასიკ (IFRIC) 4-ს „როგორ განესაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას საბალანსო უწყისზე, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12-თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე. ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას შესაბამისი აქტივის გამოყენებაზე იჯარის ვადის განმავლობაში (ე. ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებული არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი.

მოიჯარე ასევე ვალდებულია გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა, სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება მათი განსაზღვრისთვის გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილების გამო) ხელახლა შეაფასოს საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე ზოგადად საიჯარო ვალდებულების ხელახლა შეფასების თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს (IFRS) 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს (IAS) 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე გააგრძელებს ყველა იჯარის კლასიფიცირებას იმავე პრინციპით, როგორც ბასს (IAS) 17-ის მიხედვით და გამიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს (IFRS) 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს (IFRS) 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარემ შეიძლება გადაწყვიტოს სტანდარტის გამოყენება მთლიანად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს.

2019 წლის 1 დეკემბრიდან კომპანია გეგმავს ფასს (IFRS) 16-ის მიღებას მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ განისაზღვრება იჯარებად ბასს (IAS) 17-ის გამოყენებით. შესაბამისად, კომპანია სტანდარტს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომლებიც წინასწარ არ განისაზღვრება იჯარად ბასს (IAS) 17-ის ფარგლებში.

კომპანია ამ სტანდარტით შემოთავაზებულ გამონაკლისებს გამოიყენებს საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც იჯარის ვადა სრულდება თავდაპირველი გამოყენებიდან 12 თვის განმავლობაში, ასევე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, რომლისთვისაც საბაზისო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. ამ მომენტისთვის კომპანია ფასს (IFRS) 16-ის გავლენის შეფასების პროცესში იმყოფება.

6. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა (გაგრძელება)

ცვლილებები ფასს (IFRS) 9-ში: საავანსო გადახდის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით

ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე, სასესხო ინსტრუმენტი შესაძლოა შეფასდეს ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს' (SPPI კრიტერიუმში) და ინსტრუმენტის ფლობა ხდება შესაბამისი ბიზნეს მოდელის ფარგლებში, ამგვარი კლასიფიკაციისთვის. ფასს (IFRS) 9-ის ცვლილება განმარტავს, რომ ფინანსური აქტივი გადადის 'მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების' (SPPI) კრიტერიუმში, ისეთი ვითარებების და მოვლენების მიუხედავად, რომლებიც წარმოქმნიან ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტას და ასევე მიუხედავად იმისა, თუ რომელი მხარე იხდის ან იღებს გონებრივ ანაზღაურებას ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტისთვის.

ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნეს რეტროსპექტულად და ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება. ეს ცვლილებები არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ზოგადად ითვლება დაკავშირებულად, თუ მხარეები ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

2018 წლის 30 ნოემბერს, დაკავშირებულ მხარეებთან დაუფარავი ნაშთები იყო შემდეგი:

	მშობელი კომპანია		საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	
	2018	2017	2018	2017
ნასესხები სახსრები	–	828	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	2,359	4,121	278	801

7. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

2018 წლის 30 ნოემბერს დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი გარიგებები დაფიქსირდა:

	მშობელი კომპანია		საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	
	2018	2017	2018	2017
სასაქონლო-მატერიალური მარაგების შესყიდვა	10,314	1,770	–	–
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7,151	4	1,368	769
- მმართველობითი მხარდაჭერის საფასური	7,151	–	1,368	524
- სამივლინებო ხარჯები	–	–	–	79
- პროფესიული მომსახურების საფასური	–	–	–	64
სადისტრიბუციო ხარჯები	–	–	–	32
- მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	–	–	–	32
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები	23	35	–	–

8. ძირითადი საშუალებები

მოძრაობები ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი	სხვა	სულ
თვითღირებულება				
2016 წლის 30 ნოემბერი	–	–	–	–
შესყიდვები	3,106	3,161	300	6,567
2017 წლის 30 ნოემბერი	3,106	3,161	300	6,567
შესყიდვები	822	1,659	546	3,027
2018 წლის 30 ნოემბერი	3,928	4,820	846	9,594
დაგროვილი ცვეთა				
2016 წლის 30 ნოემბერი	–	–	–	–
ცვეთა წლის განმავლობაში	–	–	(2)	(2)
2017 წლის 30 ნოემბერი	–	–	(2)	(2)
ცვეთა წლის განმავლობაში	(478)	(506)	(140)	(1,124)
2018 წლის 30 ნოემბერი	(478)	(506)	(142)	(1,126)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 30 ნოემბერი	3,106	3,161	298	6,565
2018 წლის 30 ნოემბერი	3,450	4,314	704	8,468

9. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	2018 წლის 30 ნოემბერი	2017 წლის 30 ნოემბერი
გადასაყიდი საქონელი	3,210	1,022
გზაში მყოფი საქონელი	414	271
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	3,624	1,293

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018 წლის 30 ნოემბერი	2017 წლის 30 ნოემბერი
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში	1,338	4,160
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	130	151
ფულადი სახსრები გზაში	48	74
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	1,516	4,385

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში წარმოადგენს პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებს ერთ ქართულ ბანკში. 2018 წლის განმავლობაში მიღებული საპროცენტო შემოსავალმა შეადგინა 174 ლარი (2017 წ.: ნული).

11. ნასესხები სახსრები

2017 წლის 27 აპრილს კომპანიამ მშობელი კომპანიისგან მიიღო სესხი 793 ლარის ოდენობით და დაფარვის ვადით 2020 წლის 30 ნოემბერი. სესხის ნაშთი 2017 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით იყო 828 ლარი, ხოლო ამ თარიღით დამთავრებული წლის საპროცენტო ხარჯმა შეადგინა 35 ლარი (2018 წ.: 23 ლარი).

2018 წლის 15 თებერვალს კომპანიას საქართველოს კომერციულმა ბანკმა დაუმტკიცდა საკრედიტო ხაზი სულ 10,000 ლარის ოდენობით, რომლის დაფარვის ვადაა 2019 წლის 13 თებერვალი. კომპანიამ ამ ლიმიტიდან 4,000 ლარი მოიხმარა და ამ თანხის ნაწილი მშობელი კომპანიის სესხის დასაფარად გამოიყენა. სესხის ნაშთი 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით 4,019 ლარი იყო, ხოლო ამ თარიღით დასრულებული წლის საპროცენტო ხარჯმა 250 ლარი შეადგინა.

ცვლილებები საფინანსო საქმიანობებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში იზღუდება მოძრაობით ნასესხები სახსრების ანგარიშში და ისინი შემდეგი სახით არის წარმოდგენილი:

	1 დეკემბერი	ფულადი სახსრების შემოდინება	პროცენტის დარიცხვა	ფულადი სახსრების გადინება	30 ნოემბერი
2018	828	4,000	273	(1,082)	4,019
2017	–	793	35	–	828

12. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	2018 წლის 30 ნოემბერი	2017 წლის 30 ნოემბერი
სავაჭრო კრედიტორული დავალიანება	4,567	7,082
დარიცხული ვალდებულებები	437	969
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებაში შესული ფინანსური ვალდებულებები	5,004	8,051
გასაცემი ხელფასები	187	160
სხვა არაფინანსური ვალდებულებები	82	78
სულ სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,273	8,289

13. გადავადებული შემოსავალი

გადავადებული შემოსავალი კომპანიის მიერ საიჯარო ობიექტების მეიჯარეებისგან მიღებულ საიჯარო შეღავათებს უკავშირდება. გადავადებული შემოსავალი ამორტიზირდება შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულების ვადაში წრფივი მეთოდის საფუძველზე და შემოსავლის ანგარიშგებაში აღირიცხება საიჯარო ხარჯის შემცირების სახით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში განსაზღვრულია მოძრაობები კომპანიის გადავადებულ შემოსავალში

2016 წლის 1 დეკემბერს	–
მეიჯარეთა შენატანები	7,403
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(145)
2017 წლის 30 ნოემბერი	7,258
მეიჯარეთა შენატანები	1,025
წლის განმავლობაში დარიცხული ამორტიზაცია	(1,860)
2018 წლის 30 ნოემბერი	6,423

14. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

	2018	2017
მასალის თვითღირებულება	12,921	819
ცვეთა	1,124	2
სხვა დანახარჯები	48	230
სულ გაყიდული საქონლის თვითღირებულება	14,093	1,051

15. დანახარჯების გადანაწილება

	2018	2017
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯები	1,041	1,357
საბაჟო საბროკერო მომსახურების ღირებულება	119	124
სხვა	133	15
სულ დისტრიბუციის ხარჯები	1,293	1,496

16. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
მართვის და მხარდაჭერის ღირებულება	8,519	550
დაქირავებულ პირთა ხელფასები და სხვა სარგებელი	1,734	567
სამივლინებო ხარჯები	697	1,109
რემონტი და ტექნიკური მომსახურება	562	–
საიჯარო ხარჯი	355	74
პროფესიული მომსახურება	234	153
ტრანსპორტირების ხარჯი	144	17
დაცვა-უსაფრთხოების ხარჯები	108	80
პერსონალის შერჩევის და გადამზადების ხარჯი	36	143
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	34	–
სხვა	764	279
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	13,187	2,972

17. პირობითი ვალდებულებები*საგადასახადო კანონმდებლობა*

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ განსხვავებულად შეიძლება იქნეს გაგებული. გადასახადები ექვემდებარება გადასინჯვას და მოკვლევას მთელი რიგი სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საურავების დაკისრების უფლება.

საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ მიმოხილვისთვის სამი მომდევნო წლის განმავლობაში. თუმცა, კონკრეტულ ვითარებაში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო მეტი პერიოდით დარჩეს დაუხურავი. ამ გარემოებებმა შეიძლება მრავალ სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები შექმნან საქართველოში.

ხელმძღვანელობა კომპანიის საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებზე, რომლებიც, ხელმძღვანელობის შეფასებით, არ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დარიცხვას, თუ საგადასახადო უწყებები ახალ პოზიციებს დააწესებენ.

შეფასება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას ეფუძნება, რომელიც ძალაშია ან არსებითად ძალაშია ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ჯარიმის, პროცენტის და მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადების გადახდის ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო დანახარჯების ხელმძღვანელობისეული შეფასების საფუძველზე.

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიის ინტერპრეტაციისგან და თუ ისინი შეძლებენ საკუთარი ინტერპრეტაციის განხორციელებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

17. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)*ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან*

როდესაც კომპანია მოიჯარეა, მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელები შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში შემდეგია:

	2018	2017
არაუგვიანეს 1 წლისა	2,286	2,426
1 წელზე მეტი, მაგრამ არაუმეტეს 5 წლისა	10,035	7,886
სულ ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან	12,321	10,312

18. ფინანსური რისკის მართვა

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები გამიზნულია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

კომპანია დგას საკრედიტო რისკის წინაშე, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს. საკრედიტო რისკი წარმოიშობება კომპანიის პროდუქტების საკრედიტო პირობებით გაყიდვის და კონტრაქტებთან სხვა გარიგებების შედეგად, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობენ.

კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს მხოლოდ ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში) და სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ოდენობით. ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში მთლიანად ერთერთ უმსხვილეს ქართულ ბანკებშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და სხვა დებიტორული დავალიანებები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს ნასესხებ სახსრებს, სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებებს, სხვა დებიტორულ დავალიანებებს და ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან სამომავლო ფულადი ნაკადები ცვალებადი იქნება სავალუტო კურსის მერყეობის გამო. კომპანიისთვის დამახასიათებელი სავალუტო რისკი ძირითადად უკავშირდება კომპანიის საოპერაციო საქმიანობას (როდესაც შემოსავალი ან ხარჯი გამოხატულია კომპანიის სამუშაო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში) და უცხოურ ვალუტაში გამოხატულ მის ფინანსურ ვალდებულებებს.

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)*საბაზრო რისკი (გაგრძელება)*

მგრძნობელობის ანალიზები მომზადდა იმ დაშვების საფუძველზე, რომ ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტაში მუდმივია.

	2018 წლის 30 ნოემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	–	306	(306)
ევრო	–	3,443	(3,443)
ლარი	1,516	5,274	(3,758)
სულ	1,516	9,023	(7,507)

	2017 წლის 30 ნოემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
აშშ დოლარი	–	18	(18)
ევრო	48	1,089	(1,041)
შვედური კრონა	–	18	(18)
ბრიტანული ფუნტ სტერლინგი	–	1	(1)
ლარი	4,406	15,011	(10,605)
სულ	4,454	16,137	(11,683)

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი გაცვლითი კურსები:

	საშუალო კურსი 30 ნოემბრით დასრულებული წლის განმავლობაში		სპოტ გაცვლითი კურსი 30 ნოემბრის მდგომარეობით	
	2018	2017	2018	2017
ლარი/აშშ დოლარი	2.5298	2.5119	2.6896	2.7225
ლარი/ევრო	2.9960	2.8070	3.0543	3.2262

30 ნოემბრის მდგომარეობით ლართან მიმართებაში ვალუტების გამყარება/გაუფასურება, მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემცირებდა):

	2018	2017
ევროს 20%-იანი გამყარება	(689)	(208)
ევროს 20%-იანი გაუფასურება	689	208
აშშ დოლარის 20%-იანი გამყარება	(61)	(4)
აშშ დოლარის 20%-იანი გაუფასურება	61	4

18. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)*ლიკვიდურობის რისკი*

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ საწარმოს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალის მართვიდან და საიჯარო საფასურის გადახდიდან. ეს არის რისკი იმისა, რომ კომპანია სირთულეებს წააწყდება მისი ვადადამდგარი ფინანსური ვალდებულებების დაკმაყოფილებისას. ლიკვიდურობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადამოსული ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდურობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. მე-3 შენიშვნაში უფრო დეტალურად არის აღწერილი ლიკვიდურობასთან დაკავშირებული რისკი.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით 2018 წლის 30 ნოემბრის მდგომარეობით. ვადების ცხრილში ნაჩვენებია თანხები წარმოადგენს ფულადი სახსრების სახელშეკრულებო არადისკონტირებულ ნაკადებს.

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
2018 წლის 30 ნოემბერი					
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	4,019	4,088	4,088	–	–
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	5,004	5,004	5,004	–	–
	9,023	9,092	9,092	–	–

	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	0-3 თვე	3 თვიდან 1 წლამდე	1-დან 5 წლამდე
2017 წლის 30 ნოემბერი					
ფინანსური ვალდებულებები					
ნასესხები სახსრები	828	1,041	–	65	976
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	8,051	8,051	8,051	–	–
	8,879	9,092	8,051	65	976

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი შედგება კომპანიის საკუთარ კაპიტალში პარტნიორის შენატანისგან და დაგროვილი ზარალისგან. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს კაპიტალის საკმარისი ბაზის შენარჩუნებას, რომ დააკმაყოფილოს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

19. სამართლიანი ღირებულებები

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ თანხის დაახლოებით დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი მხარეებს შორის გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შემდგარი გარიგების დროს. მაგრამ განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება ხასიათდება მოკლევადიანობით და შესაბამისად მათი საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება.

20. ანგარიშგების პერიოდის შემდგომი მოვლენები

2018 წლის 19 დეკემბერს კომპანიამ შპს „სითი მოლ საბურთალოსთან“ გააფორმა საიჯარო ხელშეკრულება საქართველოში „H&M“-ს მესამე მაღაზიის გასახსნელად.

2018 წლის 18 დეკემბერს კომპანიამ დამატებით 2,000 ლარი გამოიყენა ქართულ კომერციულ ბანკში არსებული საკრედიტო ხაზიდან (მე-11 შენიშვნა).

2019 წლის თებერვალში კომპანიამ 2020 წლის 13 თებერვლამდე გაახანგრძლივა ქართული კომერციული ბანკისგან აღებული სესხის დაფარვის ვადა.